განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - გამოყენებითი მათემატიკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 08.02.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18.03.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი მათემატიკა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრი 050102
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანზორ ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა - „გამოყენებითი მათემატიკა“ წარმოადგენს 2013 წელს აკრედიტებული (2013 წლის 29 ივლისი #86 გადაწყვეტილება) პროგრამის გადამუშავებულ ვერსიას. პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი, საიდანაც 42 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 48 კრედიტი - არჩევითი მოდულის სასწავლო კურსებს, ხოლო 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა თვითშეფასების მიხედვით ძირითადი სამუშაო გაწეულია სასწავლო მასალების სრულყოფისა და განახლების კუთხით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრული, მათზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას.

ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 7აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. აკრედიტაციის პერიოდში პროგრამას ჰყავს 5 კურსდამთავრებული. დაბალია პროგრამის მოთხოვნისა და მობილობის მაჩვენებელი. ლოგიკურია სტუდენტთა შეფასების შედეგების საშუალო მაჩვენებელი (ფრიადი - 2 სტუდენტი, ძალიან კარგი - 1 სტუდენტი, კარგი - 3 სტუდენტი, 1 სტუდენტის შესახებ ინფორმაცია არ არის მითითებული).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი. პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს პერსონალის მაღალი აკადემიური დონე, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კვლევით პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში, ტრენინგებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის #77 ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 5 თებერვალს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ასევე, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტი კოლეგიალურ ვითარებაში განხორციელდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტებთან, მეტწილ შესაბამისობაში მეოთხე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

- საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასები სისტემა;
- სასურველია სასწავლო კომპონენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მინი პროექტი) გააჩნდეს წინაპირობა, რომლიც უნდა მიეთითოს სილაბუსში;
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ასევე ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაღრმავება, რათა სტუდენტებმა აქტიურად ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და ჩაერთონ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებში.
- ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასება. ასევე, შემუშავდეს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
- სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო კურსების შესაბამისი ძირითადი ლიტერატურით;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ფინანსური მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული, რათა ადმინისტრაციის ცვლილება არ იწვევდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის დარღვევას.
- დაიხვეწოს პროგრამის გარე შეფასების მექანიზმი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დაკონკრეტდეს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასურველია ცხადად ჩანდეს შრომის ბაზრის კვლევა და მისი გამოყენება პროგრამის შემუშავების პროცესში.
- სასურველია სასაწავლო კურსის მიზნები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული და შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- სასურველია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უფრო მეტად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
- სასურველია დაიხვეწოს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პერსონალის მაღალი აკადემიური დონე, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კვლევით პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში, ტრენინგებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აღწერილის გამოყენებითი მათემატიკის როლი მეცნიერების სხვადასხვა დარგში თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის საკითხში. ყურადღება გამახვილებულია მათემატიკური მოდელირების მიმართულების მეთოდების როლზე, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების პროგნოზირებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების დროს. გამოყენებითი მათემატიკის ამოცანების კომპლექსურობით არის დასაბუთებული გამოთვლითი ტექნოლოგიების ფართო სპექტრის გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისად, აღწერილია დასმული პრობლემის გადაჭრის ეტაპები - „საძიებელი ამოცანის ადეკვატური ფიზიკური მოდელის შემუშავება; ამოცანის მათემატიკური მოდელის ჩამოყალიბება; ანალიზური მეთოდებისა და გამოთვლითი ალგორითმების შემუშავება; პროგრამირების ეტაპი და ფიზიკური მოდელის შემდგომი სრულყოფა გამოთვლითი შედეგებისა და ფიზიკური ექსპერიმენტების შედარების საფუძველზე.“ შესაბამისად, პროგრამის მიზნად არის დასახული „ფართო და ღრმა განათლების მქონე ისეთი მაღალპროფესიული კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ უნარი გადაწყვიტონ მეცნიერების სხვადასხვა დარგში თეორიული და პრაქტიკული ამოცანები.“ ამდენად, ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბებულია ნათლად, რეალისტური და მიღწევადია, თუმცა მისი ნაწილი შესაძლებელია შეესაბამებოდეს უფრო სადოქტორო, ვიდრე სამაგისტრო დონეს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში მოცემულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რაც უნდა ქონდეს პროგრამის კურსდამთავრებულს. კერძოდ, პროგრამის მიზნებია: „გამოყენებითი მათემატიკის ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ კომპიუტერებისა და უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების პრაქტიკული უნარი; მათემატიკური და კომპიუტერული მოდელების გამოყენების უნარის გამომუშავება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების ხელოვნების ათვისება.„ აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მოდელირების განვითარებაში თავიანთი წვლილის შეტანა. თუმცა, არ არის დაკონკრეტებული პროგრამას რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

მიზნებში ნათქვამია, რომ „სამაგისტრო პროგრამა შექმნილია საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ის შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და გათვალისწინებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნები.“

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრიორიტეტებს შორის ნამდვილად არის გათვალისწინებული ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგებისა და მიმართულებების განვითარება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამის მიზნებში საუბარია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. თუმცა, სასურველია ცხადად ჩანდეს შრომის ბაზრის კვლევა და მისი გამოყენება პროგრამის შემუშავების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი მათემატიკა“ განახლებული ვერსია, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. ინტერვიუებით ირკვევა, რომ პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.sou.edu.ge/content/4/15/49/0/0
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაკონკრეტდეს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასურველია ცხადად ჩანდეს შრომის ბაზრის კვლევა და მისი გამოყენება პროგრამის შემუშავების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად არის აღწერილი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას, არის მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგები ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს, შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, როგორც 1.1 კომპონენტში აღვწერეთ, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, მისი ნაწილი შესაძლებელია შეესაბამებოდეს უფრო სადოქტორო, ვიდრე სამაგისტრო დონეს.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და საერთოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ნაწილობრივ დამსაქმებლები.

ჩატარებული სამუშაოების, პროგრამით დაინტერესებული მხარეებისა და გარე ექსპერტთა მოსაზრებების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის სილაბუსების ანალიზის საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტები თანხმდებიან, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას, შრომის ბაზრისა და პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია სამომავლოდ ჩატარდეს შრომის ბაზრის შინაარსობრივი კვლევა და გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

საგანმანათლებლო პროგრამას არა აქვს სწავლის შედეგების შეფასების ფორმალიზებული მექანიზმები. თუმცა, ინტერვიუებით ირკვევა, რომ სწავლის შედეგებისა და პროგრამის შეფასების მექანიზმად ამ ეტაპზე გამოიყენება ექსპერტული მოსაზრებები და დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხილვა. არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცი არის საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასები სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;

• საკვალიფიკაციო ჩარჩოთი; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
რეკომენდაციები: ▪ საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასებით ირკვევა, რომ გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ინჟინერიაში, ეკონომიკასა ან ბიზნესის ადმინისტრირებაში; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება. ასევე, განსაზღვრულია სხვა უნივერსიტეტის სტუდენტის მობილობის წესით ან უცხო ქვეყნის მოქალაქის განსხვავებული წესით ჩარიცხვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ექსპერტთა აზრით უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე დაშვების მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია საგნობრივი გამოცდის სავარაუდო საკითხების შესახებ და ასევე, გაეცნონ სასარგებლო ლიტერატურის ჩამონათვალს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - გამოყენებითი მათემატიკა); • საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა (ხელმისაწვდომია უნივერისტეტის საიტზე).
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 05/01-362, 12. 10. 2017) დამტკიცებულია სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული წესის მე-4 მუხლით რეგულირდება პროგრამის დამტკიცების პროცედურები. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამა შედგენილია სწორედ აღნიშნული პროცედურების დაცვით, რასაც ადასტურებს ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები. პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი, საიდანაც 42 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 48 კრედიტი - არჩევითი მოდულის სასწავლო კურსებს, ხოლო 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომს. სტუდენტი ირჩევს ერთერთ მოდულს, ან თვითონ ქმნის თავის პროფილს. ამდენად, უზრუნველყოფილია თავისუფალი კომპონენტების არჩევითობა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია აქტუალური და სტუდენტისათვის საინტერესო რეალური მონაცემების პრობლემურ ჭრილში დამუშავება, კვლევა, გაანალიზება, მოძიებული ან ხელმძღვანელის მიერ მითითებული წყაროების შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე საკუთარი დასაბუთებული მსჯელობა, დასკვნის გამოტანა, პრობლემის ახლებური გაშუქება, დოკუმენტური გაფორმება და წარმოჩენა

(პრეზენტირება), როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითი ფორმით. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრული, მათზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. თუმცა, ექსპერტთა აზრით სასურველია სასწავლო კომპონენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მინი პროექტი) გააჩნდეს წინაპირობა, რომლიც უნდა მიეთითოს სილაბუსში.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას.

საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი მათემატიკა“ განახლებული ვერსია. აკრედიტაციის პერიოდში პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა თვითშეფასების მიხედვით ძირითადი სამუშაო გაწეულია სასწავლო მასალების სრულყოფისა და განახლების კუთხით. მოქმედი პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. ინტერვიუებით ირკვევა, რომ პროგრამა შემუშავებულია და გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ინსტრუქცია;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კომპონენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მინი პროექტი) გააჩნდეს წინაპირობა, რომლიც უნდა მიეთითოს სილაბუსში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს. თუმცა, სასურველია მიზნები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული და შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ლიტერატურა განახლებადია, რასაც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები, რომლებიც სასარგებლოა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. შეიძლება ითქვას, რომ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები საკმარისია პროგრამის შედეგების მისაღწევად. ის, გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი დარგის აქტიური მეცნიერები არიან, სტუდენტებს საშუალებას მისცემს გაეცნონ დარგის მიღწევებსა და სიახლეებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამის აღწერა;
- სასწავლო პროგრამის კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასაწავლო კურსის მიზნები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული და შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ სემინარებში, რომლებიც ტარდება ფკულტეტზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. ის გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თავად არის ჩართული კვლევებსა და სხვადასხვა პროექტებში მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომს სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ თანამედროვე კვლევებს და შეძლონ კვლევებსა და პროექტებში მონაწილეობის მიღება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტციასთან; • გასაუბრება პროგრამაში ჩართულ პერსონალთან; • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორლდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეასრულონ პრაქტიკული სამუშაო და მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისას. პროგრამაში ჩართული პერსონალი მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს როგორც სილაბუსების, ასევე ცხრილის შედგენისას. კომპიუტერული საკლასო ოთახების საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ შესაბამისი პროგრამები და მოახდინონ მიღებული, თეორიული ცოდნის დემონსტრირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთულებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, არის მრავალკომპონენტიანი და ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებას/გამოცდას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 30 ქულიანი წერითი კომპონენტით. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 50% -ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს უშუალოდ

ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, სასურველია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უფრო მეტად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

შეფასების გამჭვირვალეობას ხელს უწყოს ელექტრონული სისტემა. SUDLab-ამ სისტემის საშუალებით სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს თავის შეფასებას და ქონდეს აქტიური კომუნიკაცია ლექტორთან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს „სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია“, სადაც წარმოდგენილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“ და „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები“. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად 100 ქულიანი, მრავალკომპონენტიანი სისტემით, რომლის კომპონენტებია:

- ნაშრომის ფორმალური მხარე - მაქსიმუმ 10 ქულა;
- მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა - მაქსუმუმ 20 ქულა;
- ფაქტობრივი მასალის ფლობა, გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია - მაქსიმუმ 30 ქულა;
- კვლევისა და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 30 ქულა;
- პრეზენტაცია - მაქსიმუმ 10 ქულა.

სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- SUDLab-ის აღწერა ფაკულტეტის თანამშრომლებთან გასაუბრებისას.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უფრო მეტად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ელექტრონული მართვის სისტემით, ვებგვერდის საშუალებით და მეტწილად ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა,

სიახლეებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს არ გამოკვეთილა მათი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში (კონფერენციები, სემინარები, ტრეინინგები და სხვა). პროგრამის ფარგლებში გასაძლიერებელია მუშაობა, რათა სტუდენტებმა უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც ნათლად აჩვენებს აღნიშნული გასაუმჯობესებელი მხარეების აქტუალურობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sou.edu.ge; • "გამოყენებითი მათემატიკისა" და "გამოყენებითი სტატისტიკის" სამაგისტრო პროგრამების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ასევე ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაღრმავება, რათა სტუდენტებმა აქტიურად ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და ჩაერთონ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს „სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია“, სადაც წარმოდგენილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“ და „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები“. აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კონტრაქტით მოწვეული დოქტორი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს მაგისტრანტის მუშაობის პროცესს, გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა პროფესორის შეთავაზებულ ან თავად მოძიებულ თემატიკაზე.

ექსპერტთა ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დასტურდება, რომ მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია;
- მაგისტრანტებისა ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული 9 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 8 აფილირებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოწვეულია შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილები 2 პირი. არსებული ადამიანური რესურსების ფარგლებში გათვალისწინებულია თითოეული კომპონენტის განმახორციელებელი პირის შესაბამისობა და კავშირი მოცემულ კურსთან, რაც დასტურდება კვალიფიკაციით, სამუშაო/პედაგოგიური სტაჟით და გამოცდილებით კონკრეტულ სპეციალობაში.

პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს პერსონალის მაღალი აკადემიური დონე, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კვლევით პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში, ტრენინგებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები. საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმაცია გადამოწმდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს, რის საფუძველზეც დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები რეალურად იყენებენ აღნიშნულ შესაძლებლობას.

ექსპერტთა აზრით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება, რაც დგინდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით, ხელს შეუწყობს პროგრამის წარმატებულად განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პერსონალის მაღალი აკადემიური დონე, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კვლევით პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში, ტრენინგებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნული, რომ „უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ტარდება გამოკითხვები, ფასდება სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი, ანალიზდება შედეგები, მუშავდება რეკომენდაციები, და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.“ აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით. თვითშეფასებაში ასევე აღნიშნულია, რომ „უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი სისტემატურად იმაღლებს თავის პროფესიულ დონეს - მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, გადის შესაბამისს ტრენინგებს. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ წინსვლაზე.“ თუმცა თვითშეფასებით

და წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს პერსონალის შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების (პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა, დაწინაურება, წახალისება) მკაფიო მექანიზმები. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია არის ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასება. ასევე, შემუშავდეს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV ; • საერთაშორისო კონფერენციების მასალები; • მივლინების დოკუმენტაცია; • აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანგარიშები; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • სამეცნიერო კრებულები;
რეკომენდაციები: ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასება. ასევე, შემუშავდეს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი ტექნიკური რესურსების განახლებისა და გაუმჯობესების შესახებ. სასწავლო კურსების მიხედვით მომზადებულია რიდერები/სალექციო კურსები, რომელიც ელექტრონულად მიწოდება სტუდენტებს, რასაც ადასტურებს სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრება. თუმცა რიდერების/სალექციო კურსების ელექტრონული ვერსია სრულად არ არის განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონულ პორტალზე. ხელმისაწვდომია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • საბიბლიოთეკო ფონდებით/ საბიბილიოთეკო ინტერნეტ რესურსებით; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: • სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო კურსების შესაბამისი ძირითადი ლიტერატურით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებაში მითითებულია, რომ „პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, სადაც გათვალისწინებულია პერსონალის შრომის ანაზღაურების, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის შეძენის ხარჯები. ამავე დროს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიუჯეტის შედგენის წესი, სადაც ერთერთი კომპონენტია ფაკულტეტის ბიუჯეტის ფორმირების წესი.“

მიუხედავად, იმისა რომ პროგრამა თავისი შემოსავლებით სრულად ვერ დაფარავს პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიუჯეტით იქნება სუბსიდირებული დანაკლისი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის გახორციელებას ამ ეტაპზე ფინანსური საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, ექსპერტების აზრით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, ფინანსური მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული, რათა ადმინისტრაციის ცვლილება არ იწვევდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის დარღვევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსუ ბიუჯეტი
- ბიუჯეტის შედგენის წესი

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, ფინანსური მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული, რათა ადმინისტრაციის ცვლილება არ იწვევდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის დარღვევას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". მნიშვნელოვანია პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა და ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც დასტურდება ინტერვიუებით. თუმცა, ექსპერტთა აზრით სასურველია დაიხვეწოს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისის გაუმჯობესების მექანიზმები;
- კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები;
- სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაიხვეწოს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად არის გამოყენებული პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების ანალიზი და გათვალისწინება პროგრამის გადამუშავების პროცესში. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ პროგრამის გარე შეფასებაში ჩართული იყვნენ სხვა უნივერსიტეტის პროფესურა. შესაბამისად, ირკვევა, რომ არსებობს გარე შეფასების გარკვეული მექანიზმი, თუმცა ექსპერტთა აზრით, აღნიშნული სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები; • სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები; • სამაგისტრო პროგრამა; • გარე შეფასების შედეგები და მათი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.
რეკომენდაციები: • დაიხვეწოს გარე საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება პროგრამის შეფასების პროცესში. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო წლის დაწყებამდე ახდენს რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებას:

- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებას ახდენს სსუ-ს ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახური სპეციალურად გამოყოფილი ან მოწვეული შემფასებლის (ექსპერტის) მეშვეობით;
- პროგრამის თვითშეფასების მიზნით შეიმუშავებს პროგრამის შეფასების ფორმას ყოვე-ლი საფეხურისათვის, ასევე შემფასებლის გზამკვლევს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებ-ლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსის შეფასების ფორმას, შიდა შემფასებლის მიერ ამ ფორმის შევსებისა და დასკვნის გაკეთების წესს.

ასევე, ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო მიმართულებით. შესაბამისად, განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულია, რომ შიგა შეფასების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტუდენტთა გამოკითხვები, რომელიც ტარდება წინასწარ დადგენილი პერიოდულობითა და მეთოდოლოგიით.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ შიდა შეფასების ანგარიშის საფუძველზე ხა-რისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს აკადემიური საბჭოს წინა-შე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართლაც მოქმედებს ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმი. თუმცა, ექსპერტთა აზრით სასურველია დაიხვეწოს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები;
- კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები;

• სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი მათემატიკა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ანზორ ბერიძე:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი დალაქიშვილი:

დავით ბურჯანაძე: